

# საქართველოს მოსამართლეთა XXVIII რიგგარეშე კონფერენცია



2020 წელი

30 ოქტომბერი, 2020 წელი

იუსტიციის უმაღლესი სკოლა

(მის: ქ. თბილისი, ნოდარ ბოხუას ქუჩა №19)

## დღის წესრიგი

11:00 - 12:00 სთ. - მოსამართლეთა რეგისტრაცია

1. 12:00 - 12:05 სთ.

კონფერენციის გახსნა

2. 12:05 - 12:10 სთ.

**„საქართველოს სამოსამართლო ეთიკის წესების“ პროექტის დამტკიცების თაობაზე-**  
(გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის სიითი შემადგენლობის უმრავლესობით).

3. 12:10 - 12:15 სთ.

**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატების დასახელება 2 (ორი) ვაკანტურ თანამდებობაზე -** (კანდიდატის დასახელების უფლება აქვს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის დამსწრე ნებისმიერ მოსამართლეს. პირს, რომელსაც უკავია უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის ან საკვალიფიკაციო პალატის წევრის ან სასამართლოს თავმჯდომარის, მისი პირველი მოადგილის ან მოადგილის, სასამართლო კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარის თანამდებობა და კენჭს იყრის იმ წევრის თანამდებობაზე, რომელსაც არ აქვს უფლება, შეითავსოს რომელიმე ზემოთ აღნიშნული თანამდებობა, საბჭოს წევრად არჩევის შემთხვევაში უწყდება საბჭოს წევრის თანამდებობასთან შეუთავსებელ თანამდებობაზე ყოფნის უფლებამოსილება).

4. 12:15 - 12:20 სთ.

**საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის წევრობის კანდიდატების დასახელება 1 (ერთ) ვაკანტურ თანამდებობაზე -** (კანდიდატის დასახელების უფლება აქვს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის დამსწრე ნებისმიერ მოსამართლეს. ადმინისტრაციული კომიტეტის წევრი არ შეიძლება იმავდროულად იყოს სასამართლოს თავმჯდომარე, მისი პირველი მოადგილე ან მოადგილე, კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარე.).

5. 12:20 - 12:30 სთ.

**ხმის დამთვლელი კომისიის არჩევა 5 მოსამართლის შემადგენლობით** (გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით, სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით).

**6. 12:30 – 14:00 სთ.**

**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2 (ორი) მოსამართლე წევრისა და საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის 1 (ერთი) წევრის არჩევა, I ტური** - *(ფარული კენჭისყრა, სხდომაზე დამსწრე წევრთა 2/3 - ის უმრავლესობით. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს არ შეიძლება იმავდროულად ეკავოს სასამართლოს თავმჯდომარის, მისი პირველი მოადგილის ან მოადგილის, სასამართლო კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარის თანამდებობა).*

**7. 14:00 – 15:00 სთ.**

**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2 (ორი) მოსამართლე წევრისა და საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის 1 (ერთი) წევრის არჩევა - II ტური** *(საჭიროების შემთხვევაში, ხმების რაოდენობა არ უნდა იყოს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის სრული შემადგენლობის ხმათა 1/4-ზე ნაკლები).*

**8. 15:00 – 16:00 სთ.**

**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის არჩევა, I ტური** - *(ფარული კენჭისყრა, სხდომაზე დამსწრე წევრთა 2/3 - ის უმრავლესობით. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს არ შეიძლება იმავდროულად ეკავოს სასამართლოს თავმჯდომარის, მისი პირველი მოადგილის ან მოადგილის, სასამართლო კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარის თანამდებობა).*

**9. 17:00 – 18:00 სთ.**

**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის არჩევა, II ტური** - *(საჭიროების შემთხვევაში, ხმების რაოდენობა არ უნდა იყოს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის სრული შემადგენლობის ხმათა 1/4-ზე ნაკლები).*



# საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია

## დადგენილება №2

ქ.თბილისი

30 ოქტომბერი, 2020 წელი

„საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის არჩევის თაობაზე“ საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის 2017 წლის 24 ივნისის №11 და „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის არჩევის თაობაზე“ საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის 2017 წლის 8 აპრილის №4 დადგენილებების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 47-ე მუხლის მე-4 პუნქტის, 48-ე მუხლის პირველი პუნქტის “ბ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის, 51-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტის მე-6 და მე-7 მუხლების შესაბამისად, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია

### ა დ გ ე ნ ს:

1. ცნობად იქნეს მიღებული საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის - გიორგი მიქაუტაძის მიერ წარმოდგენილი განცხადება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის და საბჭოს წევრის თანამდებობების დატოვების თაობაზე (დანართი: 3 ფურცელი).
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის 2017 წლის 24 ივნისის №11 დადგენილება გიორგი მიქაუტაძის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნად არჩევის თაობაზე და საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის 2017 წლის 8 აპრილის №4 დადგენილება გიორგი მიქაუტაძის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად არჩევის თაობაზე.
3. ეს დადგენილება ამოქმედდეს 2020 წლის 30 ოქტომბრიდან.

ილონა თოდუა

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის  
ადმინისტრაციული კომიტეტის თავმჯდომარე


საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციას

ასლი: საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის  
ადმინისტრაციულ კომიტეტს


გაცნობებთ, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმის 2020 წლის 22 ოქტომბრის გადაწყვეტილებით არჩეული ვარ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის თავმჯდომარედ. საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 47-ე მუხლის მე-4 პუნქტის, 48-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-2 პუნქტის და 51-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, გთხოვთ ცნობად მიიღოთ, რომ ვტოვებ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის და საბჭოს წევრის თანამდებობას.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი

საბჭოს მდივანი



გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტი		
№ <u>22.10.20</u>	ფურცლების რაოდენობა	<u>1</u>
<u>22.10.20</u>		
თარიღი	ხელმოწერა	დრო



## საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია

### დადგენილება № 11

ქ. თბილისი

24 ივნისი, 2017 წ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის  
არჩევის თაობაზე

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 51-ე, 65-ე მუხლებისა და საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტის მე-6 მუხლის საფუძველზე, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია

#### ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნად არჩეულ იქნეს თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი მიქაუტაძე.
2. ეს დადგენილება ამოქმედდეს 2017 წლის 24 ივნისიდან.

ნინო გვენეტაძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე



## საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია

### დადგენილება № 4

ქ. თბილისი

8 აპრილი, 2017 წ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის

არჩევის თაობაზე

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 65-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტის მე-6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია

ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად არჩეულ იქნეს თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი მიქაუტაძე.

2. ეს დადგენილება ამოქმედდეს 2017 წლის 8 აპრილიდან.

ნინო გვენეტაძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე



## საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია

### დადგენილება №3

ქ.თბილისი

30 ოქტომბერი, 2020 წელი

„საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის არჩევის თაობაზე“ საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის 2017 წლის 8 აპრილის №5 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტის მე-6 და მე-7 მუხლების შესაბამისად, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია

### ა დ გ ე ნ ს:

1. ცნობად იქნეს მიღებული საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის - რევაზ ნადარაიას მიერ წარმოდგენილი განცხადება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის თანამდებობის დატოვების თაობაზე (დანართი: 2 ფურცელი).
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის 2017 წლის 8 აპრილის №5 დადგენილება რევაზ ნადარაიას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად არჩევის თაობაზე.
3. ეს დადგენილება ამოქმედდეს 2020 წლის 30 ოქტომბრიდან.

ილონა თოდუა

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის  
ადმინისტრაციული კომიტეტის თავმჯდომარე

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციას

ასლი: საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის

ადმინისტრაციულ კომიტეტს

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 07 ოქტომბრის გადაწყვეტილებით იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის პროცედურა.

გამომდინარე იქიდან, რომ მსურს მითითებულ პროცედურაში მონაწილეობის მიღება, საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 48-ე მუხლის 1- პუნქტის „ა“ ქ/პუნქტის თანახმად ვტოვებ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის თანამდებობას და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად გთხოვთ, ჩემი აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაცია, მიიღოთ ცნობად.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი

საბჭოს წევრი

რევაზ ნადარაია



22.10.2020.

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტი		
№ <u>14/20</u>	ფურცლების რაოდენობა <u>1</u>	
<u>22.10.20</u>	<u>[Signature]</u>	
თარიღი	ხელმოწერა	დრო





## საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია

### დადგენილება № 5

ქ. თბილისი

8 აპრილი, 2017 წ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის

არჩევის თაობაზე

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 65-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტის მე-6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია

ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად არჩეულ იქნეს თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამომიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის თავმჯდომარე რევაზ ნადარაია.

2. ეს დადგენილება ამოქმედდეს 2017 წლის 8 აპრილიდან.

ნინო გვენეტაძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე



# საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია

## დადგენილება №4

ქ.თბილისი

30 ოქტომბერი, 2020 წელი

### საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის არჩევის შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 47-ე და 65-ე მუხლებისა და საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტის მე-6 და მე-7 მუხლების შესაბამისად, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია

### ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად არჩეულ იქნეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ქეთევან ცინცაძე.
2. ეს დადგენილება ამოქმედდეს 2020 წლის 30 ოქტომბრიდან.

ილონა თოდუა

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის  
ადმინისტრაციული კომიტეტის თავმჯდომარე



# საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია

## დადგენილება №5

ქ.თბილისი

30 ოქტომბერი, 2020 წელი

### საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის არჩევის შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 47-ე და 65-ე მუხლებისა და საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტის მე-6 და მე-7 მუხლების შესაბამისად, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია

### ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად არჩეულ იქნეს ბოლნისის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე თეა ლეონიძე.
2. ეს დადგენილება ამოქმედდეს 2020 წლის 30 ოქტომბრიდან.

ილონა თოდუა

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის  
ადმინისტრაციული კომიტეტის თავმჯდომარე



# საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია

## დადგენილება №6

ქ.თბილისი

30 ოქტომბერი, 2020 წელი

### საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის წევრის არჩევის შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 64-ე და 65-ე მუხლებისა და საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტის მე-6 და მე-7 მუხლების საფუძველზე, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია

### ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტის წევრად არჩეულ იქნეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლე მერაბ ლომიძე.
2. ეს დადგენილება ამოქმედდეს 2020 წლის 30 ოქტომბრიდან.

ილონა თოდუა

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის  
ადმინისტრაციული კომიტეტის თავმჯდომარე



# საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია

## დადგენილება №7

ქ.თბილისი

30 ოქტომბერი, 2020 წელი

### საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის არჩევის შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 51-ე და 65-ე მუხლებისა და საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის რეგლამენტის მე-6 და მე-7 მუხლების შესაბამისად, საქართველოს მოსამართლეთა კონფერენცია

### ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნად არჩეულ იქნეს თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე ნიკოლოზ მარსაგიშვილი.
2. ეს დადგენილება ამოქმედდეს 2020 წლის 30 ოქტომბრიდან.

ილონა თოდუა

საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის  
ადმინისტრაციული კომიტეტის თავმჯდომარე